საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

საბანკო სექტორის მიმოხილვა (2017 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)

www.sab.ge

საბანკო სექტორის მიმოხილვა (2017 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)

2017 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები 2.5%-ით, 0.8 მლრდ ლარით გაიზარდა და 32.3 მლრდ ლარი შეადგინა.

სასესხო პორტფელი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 20.1%-ით (3.317 მლრდ ლარი), ხოლო წინა თვის მაჩვენებელზე 3.1 პროცენტითაა (601.1 მლნ ლარი) გაზრდილი. სექტემბრის მონაცემებით, საკრედიტო პორტფელი 19.808 მლრდ ლარის ტოლია. დაკრედიტება, როგორც ეროვნულ ვალუტაში 4.7%-ით (380.1 მლნ ლარი), ასევე უცხოურ ვალუტაში 2%-ით (221 მლნი ლარი) არის გაზრდილი. ეროვნულ ვალუტაში სასესხო პორტფელმა 8.402 მლრდ ლარი, ხოლო უცხოურ ვალუტაში 11.405 მლრდ ლარი შეადგინა. კომერციული ბანკების მიერ სასესხო პორტფელის წლიური ზრდის ტემპი 20.1%-ის ტოლია. მიმდინარე წლის სექტემბერში, საბანკო სისტემაში, სესხებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 16.6% შეადგინა. უცხოური ვალუტით დენომინირებულ სესხებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.1 პროცენტული პუნქტით 8.4%-მდეა შემცირებული, ხოლო ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე პროცენტი 1.6%-ით შემცირდა და წლიურ 20.4% შეადგინა. საანგარიშო პერიოდში, 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განსაზღვრულ სესხებზე 1.3 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული, ხოლო ეროვნული ვალუტით განხორციელებული დაკრედიტება 3.2 პროცენტული პუნქტით არის გაძვირებული.

ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა წინა თვის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 15.2 მლნ ლარით (3.5%-ით) არის შემცირებული და 414.7 მლნ ლარის ტოლია, მთლიან პორტფელთან მიმართებაში 0.11%-ით შემცირდა და 2.09% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე ვადაგადაცილების მაჩვენებელი 0.16%-ით, ხოლო ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე 0.13%-ით არის შემცირებული. სასესხო პორტფელის დოლარიზაციის მაჩვენებელი ბოლო თვეების განმავლობაში სტაბილურად მცირდება. სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 0.65%-ით შემცირდა და ჯამური პორტფელის 57.58% შეადგინა.

საბანკო სექტორში განთავსებულმა არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ 2017 წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით 18.3 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 571.7 მლნ ლარით, 3.2%-ით მეტია 1 სექტემბრის მაჩვენებელზე. სექტემბერში წინა თვესთან შედარებით, ვადიანი დეპოზიტები 457 მლნ ლარით 4.5%-ით, ხოლო მოთხოვნამდე ტიპის დეპოზიტები 114.7 მლნ ლარით, 1.5%-ით გაიზარდა. ვადიან დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 5% შეადგინა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 9.5%, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 3.2%. დეპოზიტების ლარიზაციის მაჩვენებელი 34.65%-იან ნიშნულზეა, რაც აგვისტოს თვის მაჩვენებელზე 0.16%-ით მეტია. უცხოურ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილი 84.9%, ხოლო ევროსი 12.5% ტოლია. სექტემბერში საბანკო სექტორის მიღებულმა წმინდა მოგებამ 70.71 მლნ ლარი შეადგინა, საკონვერსიო ოპერაციებიდან კი, სარგებლის სახით, 15.01 მლნ ლარი მიიღო.

1 ოქტომბრის მდგომარეობით კომერციული საბანკო სექტორი 16 კომერციული ბანკით არის წარმოდგენილი. ლიცენზირებული საქმიანობის მუხედავად, ამ ეტაპზე კრედო ბანკის ფინანსური მონაცემები, საბანკო სექტორის ჯამურ მაჩვენებლებში გათვალისწინებული არ არის. საშუალოვადიან პერიოდში, არასაბანკო დეპოზიტებზე მოთხოვნა გაზრდილია, რაც, ერთი მხრივ, ეროვნულ ვალუტაში დარიცხული მაღალი სარგებელით, მეორე მხრივ კი, აქტიური ტურისტული სეზონით აიხსნება. დადებითი ტენდეციაა როგორც სასესხო პორტფელის, ასევე დეპოზიტების ლარიზაციის კუთხით. წლის დასაწყისიდან დღემდე, სასსესხო პორტფელის ლარიზაცია 34.8%-დან 42.42%-მდე, ხოლო დეპოზიტების ლარიზაცია 28.1%-დან 34.65%-მდეა გაზრდილი. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 7%

დატოვა. მოკლევადიან პერიოდში არაა მოსალოდნელი სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდა, რაც ფინანსურ რესურსებზე არსებული მოთხოვნის შენარჩუნებას ხელს შეუწყობს. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წმინდა საბანკო აქტივები, დეპოზიტების მოცულობა და სასესხო პორტფელი, მიმდინარე წლის განმავლობაში იზრდება, რაც სექტორის სტაბილურობაზე მეტყველებს.

www.sab.ge